

დ რ მ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 203. კვირა, 13 სექტემბერი 1909 წ. დამატების № 36.

უმცარი ტალა.

ღრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედება მეხამე.

(შემდეგი*)

ლელა. (ცოტა სიხუმის შემდეგ) მეც ვხედავ, რომ გიხარიან. მაგრამ მე მაინც ვამჩნევ, რომ ამ შენ სიხარულს თითქოს რაღაც მარტილი აკლიაო. მართალია თუ არა?

სვიმ. (ენიშნება და გაკედილება. ჯაჭუჭით) მე ბოლო დროს დავრწმუნდი, რომ შენ დიდი ეშმაკი ყოფილხარ; მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ უბრალო ეშმაკი კი არა ყოფილხარ, არამედ გულთამხილავი ეშმაკი, ჰე, ჰე, ჰე!..

ლელა. მაშ მე სწორედ მიმხვდარვარ; არ მოვუტყუებდითარ ჩემ ალლოს ხომ?

სვიმ. რამდენიმედ-კი.

ლელა. მერე რატომ არ მეტყვი, მამა, რა არ-ს ისეთი?

სვიმ. საიმისო არაფერია, გენაცვა.

ლელა. მაინც?

სვიმ. შენ წელან სწორედა სთქვი: ჩემ სიხარულს თითქოს ცოტა მარტილი აკლია ან საფანელი, — სულ ერთია...

სვიმ. (ცოტა სიხუმის შემდეგ) შენც ხომ ხედავდი, როგორ გულწრფელად და ერთგულად ვეხვეწებოდი არჩილს, ჩემთან წამოსულიყო! თუმცა მე მაშინ აზრადაც არ გამივლია მისი დანათესავება, მაგრამ რომ შეესრულებინა ჩემი თხოვნა, მე მართლა დიდად სასიხარულოდ დამრჩებოდა. შემდეგში კი თუმცა არჩილის წამოსვლა ისე უცნაურად და მოულოდნელად გადასწყდა, მაგრამ ჩვენ სიხარულს მაინც საზღვარი არა ჰქონია. მხოლოდ ერთი პატარა უსიამოვნება შეეპარა ჩემ სიხარულს.

ლელა. ისეთი რა არის განა ეს უსიამოვნება?

სვიმ. როცა მამა ექვთიმემა სთქვა, ნეტა ჯვარის დაწერა შეიძლებოდეს აქაო, არჩილმა უარი სთქვა ჯვარის წერაზედა. სწორედ ეს უარი შეიქმნა ჩემ პატარა უსიამოვნებად.

ლელა. ვაი, მამა! მაგაზე ფიქრობ?

სვიმ. სწორედ.

ლელა. მე მეგონა ძალიან სერიოზული რამ არის მეთქი!

სვიმ. აკი გითხარი, საიმისო არაფერია მეტქი, თუმცა რამდენიმედ სერიოზული მნიშვნელობა კი აქვს.


ლელა. არც თუ ისეთი.

სვიმ. ააჰ! მაგას ნუ იტყვი, შვილო! მნიშვნელობა კი აქვს,

ს ა ჟ რ ვ ე ლ თ ა რ გ ა ფ ი ც ვ ა უ ვ ე ც ი ა უ ი.



გარმან ლინდკვისტი,



არზინდ ტორაბეკი,



ნიალმარ ფონ-სილოვი,

მუშათა ორგანიზაციების გამგეობის თავმჯდომარე.

ლელა. ბარემ მითხარი, მამა, რაღაც მაწვალე! ამნაირ სიხარულზე მე სულ პატარა აჩრდილიც კი დიდ მწუხარებად მიმაჩნია...

სვიმ. საძირამდის ჩამყვა რაღაც ეს ქალი!

ლელა. მერე რაღაც მაწვალე აქამდის?

სვიმ. იმიტომ გაწვალე, რომ ვაი თუ ჩემი რჩევა ცოტა საწყინოდ დარჩეს და მე კი არასგზით არ მინდა ვაწყენინო ჩემ გოგონას. მაგრამ თუ მაინცა და მაინც არ მომეშვები, გეტყვი, რა ვუყო!..

ლელა. არ მოგეშვები, მამა, არა!

მუშათა ორგან. გამგეობის მდივანი.

როგორ არა!

ლელა. ბევრისთვის კი აქვს მართალია, მაგრამ მე არ მეგონა, თუ შენ ასეთ ყურადღებას მიაქცევდი ამ მხარეს.

სვიმ. არა! რადგან ლაპარაკი სერიოზული ჩამოვარდა, უნდა გულახდით გითხრა, რომ მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ ჯვარის წერას.

ლელა. რატომ, მამა? თითქოს შენ არც თუ ესეთი მართლმორწმუნე იყავი?

სვიმ. საქმე აქ სულ სხვა რამეშია, ჩემო ძვირფასო, და არა მართლ-მორწმუნეობაში.

ლელა. აბა ერთი რაში?

სვიმ. არჩილიცა და შენც, ჩემთვის ეხლა ორივე ერთნაირათა

*) იხ. სურათებიანი დამატება № 35.



აგარაკი ბახმარო.

როგორ აჰყავთ ყმაწვილები ბახმაროზე.

ხართ საყვარელი. თქვენი ტრფობა ჩემთვისაც სიხარული და ბედნიერებაა, დამე არ მინდა, რომ თქვენ, ჩემო მარგალიტებო, სხვის გასაკილა ვადა და დასაცინავად გადაიქცეთ.

ლელა. ვინ რაზე უნდა დაგვიკინოს? რა გვაქვს დასაცინი?

სვიმ. ქვეყანა უკუღმართია, შვილო: ის ხშირად იცინის იქ, სადაც უნდა სასოებით მუხლს იყრიდეს სიწმინდისა და ქვეშაობის წინაშე. მე ვერ ავიტან, რომ თქვენ ფაქიზ სახელს, თქვენ წმინდა სიყვარულს ვინმე ტალახს ესროდეს თავის ქუჩუიანის მოუსვენარის ენით. ეს ჩემთვის ტანჯვა იქნება, შვილო, რანჯვა!

ლელა. ისე რომ ჩვენი ჯვრის წერა პირში ბურთის ჩაჩრა იქნება უხეირო კორიკანებისათვის, რაღა?

სვიმ. ჰო, გენაცვა, ეგრე! რა ვუყოთ, კაცმა ძალა-უნებურად უნდა გაუწიოს ანგარიში ხალხის აზრსა და განწყობილებას, თუ კი მთელი სიცოცხლე ხალხში უხდება მას ცხოვრება. მერე არჩილის ამბავს, როგორც უკვე ცნობილ კაცისას, ხელად მოჰკრავს ყველა ყურს და თავისებურად გადაამახინჯებს, რაც არჩილის სახელისათვისაც არ იქნება კარგი.

ლელა. თუ შენ ეგრე საჭიროდ სცნობ, მამა, რომ არ გაწყენინო, მე თანახმა ვიქნები. ჩემთვის სულ ერთია, როგორც უნდა იყოს დაგვირგვინებული ჩვენი... უშინაარსო ჯიუტობა მე ძალიან მეგჯავრება როგორც; რადიკალობაში, ისე კონსერვატორობაშიაც.

სვიმ. მხოლოდ არჩილისათვის კი სამი-მო იქნება ეს, რადგან ის არსებითად ვერ ეგუება ხალხის ასეთ დამახინჯებულ აზრსა და გემოვნებას.



აგარაკი ბახმარო.

აგარაკზე მყოფი ახ. ლგაზრობა.

ლელა. ეგ კი მართალია, მაგრამ თუ მე მოვიხდებოდა, მე მგონია, წინაღმდეგობას არ გაუწევს ჩემს სურვილს.
სვიმ. ჰაი, შე მაკლურო! ეგრე ჩქარა დარწმუნდი შენს ძლიერებაში, რომ ეხლავე იცი არჩილი წინაღმდეგობას არ გაუწევს შენ სურვილს! (აქლას სდუმს) ეგრე, შვილო! კარგს იხამ, თუ კი არჩილსაც დაარწმუნებ ჯვრისწერის სარგებლობაში. დაე, თქვენი სიყვარულის სიწმინდის დასაცველად ეგ ერთი ნაბიჯი მაინც გადადგას ცხოვრების ტალახში და მერე საითაც უნდა წავიდეს, მე გზას არ გადავუღობავ. პირიქით, მთელი ჩემის ძალღონით ხელს მოვუხართავ კიდევ.

ლელა. (შეგნა შეკრება შეკრდზე) ახ, მამავ! ნეტავი თუ ყველას ასეთი კარგი მამა ჰყავს!

სვიმ. ნეტავი თუ ყველას ასეთი კარგი ქალი ჰყავს!

ლელა. მაგას კი ტყუილად მეუბნები. არც თუ ისეთი კარგი ვარ, შენ რომ გგონია.

სვიმ. ახ, თავს რომ იკატუნებ! გინდა უფრო შეგაქო, ჰა? რისიც ღირსი ხარ, იმაზე მეტს არ გაქებ, არა!

ლელა. ან მაგაზე ვინ გიჩივის?

სვიმ. ეს ვიცი, გენაცვა. სამართლიანი ქება ყველას ესამოვნება.

ჩამოდის ლვისო.

ლვო. თქვენ აქა ჰყოფილხართ?

ლელა. აბა მაშ ცხრა მთას ხომ არ გადავივლიდით ამ გემიდან? (წამოდგება და მიდის მეორე ოთახში)

სვიმ. (ოჯახს გაყოფებს ლელას) სწორედ რომ ბედნიერი მამა ვარ!

ლვო. როგორ?

სვიმ. ასეთი შვილის პატრონი ბედნიერი ვიქნები მა რა?

ლვო. ეე, რა აგრე ერთბაშად მოგიარა ლელას სიყვარულმა?

სვიმ. ამ ორ დღეში წინანდელზე ათჯერ უფრო მეტად გაიზარდა ჩემში ლელას სიყვარულმა.

ლვო. რაზე? როგორ?

სვიმ. მე ძალიან ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ ასეთი შვილის პატრონი ვარ.

ლვო. აქამდისაც შენი შვილი არ იყო, ეხლა ხომ არ გაიგე?

სვიმ. ჩემი შვილი კი იყო, მაგრამ მე აქამდის სავსებით არ

ვიცნობდი მაგის ძალას. ეხლა კი გავიცანი ამ ორ
დღეში და იმიტომაც ასე უზომოდ შემიყვარდა.

ღვთ. მე მაინც ვერა გამიგიარა!

სვიმ. აქ რა არის გაუგებარი! მე მინახიან, რომ ლელამ
სძლია ის, ვის წინაშეც ჩვენ ორივენი სუსტზე სუსტნი
გამოვდებით. მე აღტაცებაში ვარ მოსული, რომ ჩემ
გოგონაში ყოფილა ისეთი მიმზიდავი ძალა, რამაც ისე
უეცრად მოაჯადოვა ჩვენი ძვირფასი განდევნილი
და აიძულა სულ სხვა მხრისაკენ მიემართა თავისი
ცხოვრების იაღქანი. ასეთი შვილით მე ვამაყოფ და
ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი!

გამოდის ლელა, თან თმას ისწორებს სავარცხლით.

ღვთ. (შეკვამბებში წააგდებს ჯეჯას ხელებს და შეაჯანჯღარებს)
ჰა, ლელიკო! როგორა ხარ?

ლელა. როგორ უნდა ვიყვე!

ღვთ. უნდა მაჯა გავიშინჯო, მეინტერესება გავიგო, წუთში
რამდენჯერა სცემს ეხლა შენი გული.

ლელა. ეს კიდევ სულ თავისებურად ფქვავს!

სვიმ. შენ ყურს ნუ უგდებ, შვილო! მოდი დაჯექი
ჩემთან! (ჯეჯა ჯდება სვიმთან)

გამოდის ტიტო.

სვიმ. ოჰ, ტიტოკო, ადექი?

ლელა. მაგან კაი ძილის ხმიადი გამოაცხო.

ტიტო. (უფურებს ღამეებს) უჰ, დაღამებულა კიდევცა!

ღვთ. ტიტოკო, ერთი პალტო გამომიტა, წამოვიხსა,
თორემ ბაქანზე ცოტა გრილა (ტიტო შედის და
გამოაქვს ზაღტო) (წამოისხავს) წამოლით ზევით,
აქ რას აკეთებთ! (თვითონ მიდის)

გამოდის მიხეილ.

მიხ. (რამდენჯერმე გააფლ-გამოაფლის და ჯეჯას და-
აკვირდება. მერე დაჯდება იმის ზირდაშირ ცერად)

ტიტო. შალვა სად არის, ლელა?

ლელა. ზევით.

ტიტო. არჩილი? (ჯეჯა დარცხვენით გაიღიმება)

სვიმ. ისიც ზევით არის (ტიტო შემოტრიალდება და
სიბიბით ადის ზევით, მიხეილი ზაჯს რეკავს)

შემოდის მსახური.

მიხ. ერთი ჭიქა რძე!

მსახ. ეხლავე მოგართმევთ! (გადის)

ლელა. სულ ასე წყნარი ამინდი მაინც იყოს ბათუმამდის!
ასე მგონია, ერთ ადგილასა ვდგევარ მეთქი, ისე შეუმ-
ჩნევლად მივცურავთ. (მიხეილ უფრო აშტრდება ჯეჯას
და სახეზე სახმური დამიღი უწევს თამაშს. ჯეჯა შეამჩნევს,
რამ მიხეილი უფურებს)

მსახურს შემოაქვს რძე და გადის.

სვიმ. საოცარია! როცა გემით ვმოგზაურობ ხოლმე, სულ
მუდამ ცხოვრება მიდგება თვალწინ. ეს წყნარი ცურვა,
როგორც ეხლა, მომავონებს სიხარულითა და სიტკბო-
ებით სავსე ცხოვრებას, რომელიც ისე ჩუმად მიჰქრის,
მიიპარება, რომ კაცი ვერც კი ამჩნევს, თუ როგორ
უახლოვდება თან და თან თავის ბოლოს. ღელვის დრო
კი მომავონებს ისეთ ცხოვრებას, სადაც ადამიანის
თვითეული განვლილი ნაბიჯი აღბეჭდილია უზომო
ტანჯვითა და სასოწარკვეთილებით, როცა თვითეული
წამით ანგარიშობს, თუ როდის მიუახლოვდება დანიშ-
ნულ ადგილას, რომ დროზე დაახწიოს თავი იმ საში-

ნელ ბრძოლას, სადაც ყოველი ძალა ეყარება და
ხნევე კი არსაიდან არ ემატება.

ლელა. მართლა ღამაში შედარება კი არის! (შეჰხედავს მი-
ხეილს და რა დაინახავს, მასზე ხარბად მიხურბილ თვა-
ლებს, თავს ჩაღუნავს. კიდევ შეჰხედავს მიხეილს, რამეღიც
ისევე ხარბად მისჩერება, და შემკრთაღი მიეხუტება მამას)
მამა, რა უცნაურად მაშტერდება, აი ისკაცი!

სვიმ. რომელი, შვილო? (შეჰხედავს მიხეილს)

მიხ. (შიაწვეს ჯეჯას ზირდაშირ) ქალო! თქვენ, მე მგონი, გი-
კვირთ, რომ ვგრე უცნაურად გიკტერით არა? (ჯეჯა
შეჰხედავს მოკრძალებით)

სვიმ. რაშია საქმე?

მიხ. უკაცრავად, თქვენ მამაშვილი ბრძანდებით?

სვიმ. დიად.

მიხ. ძალიან სასიამოვნოა. თქვენ ქალს რა ჰქვიან, თუ შეი-
ძლება გვითხრათ?

სვიმ. რაში გკირდებათ მერე?

მიხ. საიმისოდ არაფრად მინდა, მხოლოდ გამოვემცნაურო.

სვიმ. თუ არაფრად, მაშ რაღად გეინტერესებათ მისი გამო-



აბარაკი ბახმარო.
ვაკი-ჯვრის ქუჩის წყარო.

ცნაურება?

მიხ. სწორედ მაგოდენა ქალი მეცა მყავს. ის არის ჩემი
ერთად-ერთი შვილი, და ვერ წარმოიდგენთ, ბატონო,
რა უცნაურადა ჰგავს თქვენი ქალი იმ ჩემ პირშოს.
სწორედ გასაოცარია ღვთის განგება!

ლელა. (ეხლა კი ინტერესით და ჰატვის—ცემით შეჰხედავს
მიხეილს) მე ლელა მქვიან, ბატონო!

მიხ. ლელა! ჩემ ქალსაც ელენე ჰქვიან ანუ ელა! არ გი-
კვირთ, რომ სახელშიაც კი ასეთი მსგავსება ყოფილა!

სვიმ. რა უყოთ, არის ხოლმე ასეთი შემთხვევა, თუმცა
იშვიათად.

მიხ. არა, ბატონო! ასეთი შემთხვევა მხოლოდ ეს ერთია!
ახ, ნეტავი ჩემ ქალსაც იცნობდეთ! რომ ერთად დავა-
ყენოთ, ღმერთს გეფიცებით, უცხო კაცს გაუჭირდება
მათი ერთმანეთისაგან გამოჩრევა

სვიმ. ეხლა სად არის თქვენი ქალი მერე?

მიხ. ქალაქში. მხოლოდ ერთი თვეა აღარ მინახავს და ისე
მომენატრა იმისი ნახვა, რომ, როცა დავინახე თქვენი
მშვენიერი ქალი, მაშინათვე ჩემი ელენე წარმომიდგა
თვალწინ. (ჯეჯას) ეხლა ხომ აღარ გიკვირთ, ჩემო
კარგო, რომ ვგრე გაშტერებით გიყურებდით?

ლელა. (თავზადუნებით) არა, მე სხვანაირად გავიფიქრე.
მის. მაშ ნება მომეცით, ეხლა მაინც გიყუროთ თავისუფლად!
ლელა (მკვრივად) თქვენი ნებაა!
მის. (შეჭყურებს გაუმადლარის სიამოვნებით) თქვენც ხომ ქალაქში მობრძანდებით?
სვიმ. დიად.
მის. მაშ უეჭველად გაგაცნობთ ჩემს ქალსაც, რომ თქვენი კეთილი თვალებითაც დარწმუნდეთ ასეთ უცნაურ მსგავსებაში. (უყურებს) თვალწარბით... შუბლით... ნიკაბით... სწორედ გამოცხადებული ჩემი ელენა (ჯეჯა გაიღიმებს) თქვენი ღიმილითაც კი სულ ჩემ ელას მაგონებთ.
სვიმ. (მიხეილს) თქვენ სად იყავით მერე აქამდის?
მის. მე ოდესაში ვიყავი ნისიებზე, რაც ფული მოვაგროვე, ამ რამდენიმე დღის წინად ფოსტით გავგზავნე შინ და ეხლა მეც მივემგზავრები.

კიბეზე ჩამოღის ორი უცნობი.

სვიმ. ალბად ბლომა ნისიები გექნებოდათ, რომ იმსიშორებზე შეწყუბებულხართ მოხუცი კაცი.
მის. არა უშავს რა, საკმარისი იყო!
პირ. უცნ. (უყურს მკვრივად უკანასკნელ ღაზარაკს და თითქმის ენაშნა რადგან, მიდის და ჩუმიდ ჯდება სტოლთან; ზარს დაუკრავს და ჩაის მოატანინებს მისხურს)
სვიმ. ეხლა ხომ პირდაპირ შინ მიემგზავრებით?
მის. დიად.
სვიმ. მაშ გისურვებთ, რომ ჯანმრთელად და კარგად გენახოთ თქვენი საყვარელი ქალი, რომლის ნახვაც ეგრე მოგნატრებიან აქ.
მის. თქვენც გეცოდინებათ, რასაკვირველია, თუ რა არის მოსიყვარულე მშობლის გული, როცა ამდენი ხნით მოსწყდება ხოლმე თავის საყვარელ შვილს?
სვიმ. გამომიცდია გენაცვა, როგორ არა! როცა ჩემი შვილები მიდიან ხოლმე რუსეთში სასწავლებლად, სწორედ ნამდვილ ობოლს დავემსგავსები ხოლმე და სულ დღეს დღეზე ვითვლი, თუ როდის ველირსები მათ დაბრუნებას. ერთხელ კი ველარ მოვითმინე და მე თვითონ ვეწვიე მათ სტუმრად რუსეთში.
მის. ეხლა მეც ვუპირებ ჩემ ქალს უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნას და არ ვიცი სწორედ როგორ შეველიო. ეხლაც ლამის სული დამეღიოა ლოდინში, ვიდრე მოვესწრებოდე იმის ნახვას.
ლელა. თუ ეგრე ძალიან ვგეგვარ თქვენ ქალს, ვიდრე შინ მიხვიდოდეთ, მე გაგიწევთ იმის მაგიერობას, კარგი?
მის. ოჰ, ჩემო კეთილო! ვერ წარმომიდგენია, თუ როგორი მადლობელი ვარ ასეთ თანათგრძობისათვის. მაგრამ... რადგან მადლსა შერებით, მარლიც მოაყარეთ!
ლელა. რანაირად?
მის. ჩემ ქალს საშინლად უყვარს ციგნურად თავშლის მოხვევა. ეხლა ადესაში ყოფნის დროს ერთ სტამბოლელ ვაჭრისაგან ვიყიდე ორი საუკეთესო თავშალი და ერთ მათგანს თქვენ მოვთავაზებთ, როგორც ჩემ საკუთარ შვილს. გთხოვთ ისე მიიღოთ, ვითომ თქვენ მშობელ მამას მოურთმევია! (შეღის თავის ოთახში)
ლელა. საწყალი, რა ძალიან ჰყვარებია თავისი შვილი!
სვიმ. რასაკვირველია ძალიან ეყვარება: მოხუცი კაცი, ერთ თაღ-ერთი შვილის პატრონი, მარა იქნება!
ლელა. გამოვართვა, მამა, თავშალი?
სვიმ. რატომ, შვილო! ძალიან ესიამოვნება. რომ არ გამოართვა კი, ძალიან შეწყინება. რა გენადღებება, გაიხაროს მოხუცის გულმა.

გამოღის მიხეილი.

მის. (ხელში უჭირავს ერთი ცალი მართლა საუცხოო თავშალი) აი, შვილო!
ლელა. (გამოართმევს თავშალს და იხვევს ციგნურად, რეგარტ ჯეჯას) ესე იცის თქვენმა ქალმაც?
მის. ეხლა სწორედ გამოცხადებული ჩემი ელა ხართ!
სვიმ. (შეჭყურებს ჯეჯას) მართლა, რა ძალიან გიხდება! მე რომ შენი ვიყვე, არასდროს არ მოვიშორებ მაგ თავშალს თავიდან.
ლელა. მართლა ეგრე მიხდება?
მის. მშვენიერებაა!

კიბეზე ჩამოღის შალვა.

შალ. ლელა!
ლელა. რაო, შალიკო?
შალ. აქ ამოდი, რა მშვენიერი სურათი გაჩვენოთ!
ლელა. მოვდივარ! (მიხეილს) უკაცრავად (მიდის)
სვიმ (მიხეილს) თქვენ კი არ გამოისიერებთ?
მის. გთხოვთ მიბრძანდეთ! მეც რძეს დავლევ და ეხლავე მოვალ. (სვიმანი და ჯეჯა ადამ კიბეზე. მიხეილი აწეებს რძის სმას)
პირვ. უცნ. (უნდა რამენაირად დაეჯავახოს მიხეილს, მაგრამ ვერ ახერხებს. მერე ამოიღებს ჰაზარას და ჩაიღებს ზირში. მიუბრუნდება მიხეილს) უკაცრავად, თქვენ ასანთი ხომ არ გექნებათ?
მის. კი მაქვს, მაგრამ გემში წვევა რომ აკრძალულია!
პ. უცნ. მართლა?
მის. აი, შეტედეთ! (უჩვენებს განცხადებაზე)
პ. უცნ. მაშ უნდა მოვითმინოთ, მეტი რა ჯანია? (სიჩუმე) უჰ, სწორედ მომბეზრდა ამ გემში ჯდომა.
მის. საიდან მოემგზავრებით?
პ. უცნ. ნოვოროსისკიდან.
მის მერე ეგრე ჩქარა მოგბეზრდათ? მაშ მე რაღა ვუყო?
პ. უცნ. თქვენ საიდანღა მობრძანდებით?
მის. ადესიდან.
პ. უცნ. აჰა, ადესიდან! რა საქმეზე იყავით იქა, თუ უკაცრავად არ ვიქნები?
მის. სავაჭრო საქმეები მქონდა.
პ. უცნ. საქონლის ყიდვა გენდომებოდათ ალბად?
მის. არა, ნისიები მქონდა და იმის მოსაკრეფად ვიყავი.
პ. უცნ. ნისიებზე! ადესელები ცოტა უპირო ხალხი კია, დაპირებისამებრ არას დროს არ იხდიან ნისიას.
მის. რათა? რაცა მქონდა ნისია, თითქმის ყველას გამოვართვი.
უცნ. ჰო, ცოტა რამეზე, რასაკვირველია, ნდობას არ გაიფუჭებენ!
მის. ექვსას-შვიდასი თუმანი არც თუ ისე ცოტაა, რომ ჯარაღირდეს მისთვის ხელის გასვრა.
უცნ. ჰოო, შეიძლება! ალბად დიდი ხათრი და ნდობა გექნებათ დამსახურებული. მეც სავაჭრო საქმეზე ვიყავი როსტოვში.
მის. საიდანა?
უცნ. ბაქოში ერთი ხილის ფირმა თათრისა, და მეც იმის ნისიების მოსაკრეფად ვიყავი.
მის. მერე, მოკრიფეთ?
უცნ. ესე, ერთი ექვსას თუმანადის მეც მოვაგროვე.
მის. კარგია! (წამოადგება და მიდის ზეგით).

(შემდეგი იქნება).

ლევ. მეტრეველი.